



# მეცხევე

საპარტოვლოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი \* № 8 (83) 30 დეკემბერი 2013 წელი

## გილოცებთ ახალ წელს





## საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს რექტორის არჩევნებს

რექტორის არჩევნებში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია აკადემიური საბჭოს სახელზე წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) ბიოგრაფია (curriculum vitae);
- გ) უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული ხედვა და სამოქმედო გეგმა.

რექტორის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების განცხადებების მიღება დაიწყება 2014 წლის 24 იანვრიდან და გაგრძელდება 2014 წლის 7 თებერვლის ჩათვლით.

**რექტორის არჩევნები გაიმართება 2014 წლის 13 თებერვალს.**

საკონტაქტო ინფორმაცია:  
ტელ.: 2 999 411  
მის: რუსთაველის გამზ. 19

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ: [www.tafu.edu.ge](http://www.tafu.edu.ge)

## საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

**ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი:**

### 1. ხელოვნების მენეჯმენტი

- ა) პროფესორის ერთი (1) ვაკანტური ადგილი;
- ბ) ასისტენტ პროფესორის ერთი (1) ვაკანტური ადგილი;

### 2. მასობრივი კომუნიკაცია (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა)

- ა) ასისტენტ პროფესორის ერთი (1) ვაკანტური ადგილი;

კონკურსი გამოცხადდა 2013 წლის 24 დეკემბერს.

კანდიდატების რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყება 2014 წლის 24 იანვრიდან და გაგრძელდება 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება საბუთების მიღების დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

საკონტაქტო ინფორმაცია:  
ტელ: 2 999 411  
მის: რუსთაველის გამზ. 19

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ: [www.tafu.edu.ge](http://www.tafu.edu.ge)

# ფსიქოლოგიის ბაკვეთილები ბრძედება მქსკერიმენტი წარმოსასგაზე

(გამოვიყენეთ მასელოტის მეთოდი)

ჩვენი მიზანი იყო ვერბალურ მასალაზე შემოქმედებითი წარმოსასგვის უნარის კვლევა. სტუდენტს მივაწოდეთ სამი სიტყვა – ბავშვი, სარკე, ცრემლი და ვთხოვეთ ამ სამი სიტყვის გამოყენებით შეექმნათ ჩანახატი.

სტუდენტების ერთ ჯგუფს არ ვზღუდავდით საახალწლო მოტივით. მეორე ჯგუფს ინსტრუქციით ვთხოვდით, რომ აღწერილი ამბავი საახალწლო ვითარებაში განვითარებულიყო.

პელაგოგი მანანა მარაბელი

## სახე, ბავშვი, ცხემრი ახალი წერი



ორი პარალელური სამყარო... ერთი მხიარული, მზიანი... მეორე ნისლითა და ნაცრისფერი ფერებით სავსე. ჩავთვალთ, რომ ეს ორი პარალელური სამყარო არის სარკეში არეკლილი „წარმოსასგვითი რეალობა“ და „ყოფითი რეალობა“... სარკის ერთ მხარეს მზეა, მეორე მხარეს თოვს. ზაფხული და ზამთარი... სარკის ორივე მხარეს, ბავშვები სხვადასხვა „რეალობაში“ ერთობიან (პირობითად ციგურებით

და საზაფხულო ფრენბურთით). „რეალობის“ ორივე მხარეს დგას ბავშვი, რომელიც დანარჩენი ბავშვებისგან განცალკევებით დგას, საკუთარ თავთან მარტოა დარჩენილი. მის სახეზე ცრემლები ჩნდება, თუმცა ბავშვი სულაც არ ტირის, პირიქით, მხიარულია და საზეიმო განწყობა აქვს, რადგან ეს ცრემლი სინამდვილეში ფიფქებია... სარკის ორივე მხარეს ერთდროულად თოვს, ორივე „რეალობაში“ ახალი წელია და საახალწლო სიმღერები ისმის. ბავშვი ცენტრში დგას, დანარჩენი ბავშვები კი საკუთარ „რეალობაში“ ნახევარ წრეზე ლაგდებიან, რაც ერთიან წრეს ქმნის. ადამიანები ერთსა და იმავე მოვლენას განსხვავებულად აღიქვამენ, დადებითად, უარყოფითად ან თუნდაც ნეიტრალურად... განსხვავებული კუთხით ხედავენ და აფასებენ მას. ალბათ ეს კარგია, არ ვიცი... უბრალოდ, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს.

**მარიკა ჩხაიძე,**  
დრამისა და კინოს მსახიობი  
ხუთშაბათი 10სთ



\* \* \*

ქალაქში თოვს. ვიწრო, გადათეთრებულ ქუჩებში სხვადასხვა ფერის ნათურები ანათებენ, საახალწლო სიმღერები ისმის. სახლები მორთულია წითელსა და მწვანე ფერებში. ფანჯრიდან გემრიელი საჭმლის სუნი გამოდის. მშობლები ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრებს არჩევენ, ნაძვის ხესა და სათამაშოებს ვიღულობენ.

თბილ ქუჩაში, ნაქსოვ ქუდსა და ხელთათმანებში გამოწყობილი ქალი მიდის ქუჩაში და ფიქრობს. შეუხვია ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზე და პატარა, ლამპიონებით განათებულ, საჩუქრების მაღაზიაში შევიდა. აარჩია საჩუქარი, გამყიდველს შეაფუთინა ლამაზ პარკში და სახლისაკენ გაუყვა გზას.

ქუჩაში ბავშვები გუნდაობენ, ყვირიან. ზოგი თოვლის ბაბუას აკეთებს, ზოგი კი ცივით სრიალებს მოყინულ გზებზე. მაგრამ აი ის, რომელიღაც სახლის კიბესთან რომ ჩამოძვდარა ნაღვლიანად უყურებს როგორ ერთობიან ბავშვები. ოდესღაც წითლად აღაჟღაჟებული ლოყები სიცივისაგან გალურჯებია. ოქროსფერი კულულები აბურძენია და გახეული ხელთათმანით გაყინულ ყურებს ითბობს. ცდილობს ხალხს მორიდოს თავისი ღრმა, ცისფერი, ცრემლიანი თვალები. გოგონამ ხელი ჯიბეში ჩაიყო და გაქვავებული პურის ნატუნის მეტი ვერაფერი ნახა. თითქოს ყელში რაღაც უჭერდა, უნდოდა ეტირა, მაგრამ თავს იკავებდა, ჩუმად იწმენდა თვალიდან ძალაუნებურად გადმოცვივნილ ცრემლებს.

ქალბატონი კი სახლისკენ მიდის. ჩექმების ნაკვალევს ტოვებს ჭრაჭუნა თოვლზე. უცებ ატირებულ გოგონას ხედავს. ქალი მიდის, ბავშვის წინ იჩოქებს და თანაგრძნობით ჰკითხავს:

– რატომ ტირი ?

– არ ვტირი! – პასუხობს ბავშვი და უჩუმრად ცრემლს იწმენდს.

ქალს ჩანთიდან რაღაც ამოაქვს და ბავშვს აწვდის.

– ეს შენ საახალწლოდ.

ბავშვის თვალები ციმციმს იწყებენ. თითქოს ფერიც კი მოსდის. გოგონა ქალს ეხუტება. მთელი სულით გრძნობს სიხარულს, ხან ტირის

და ხან იცინის. ქალი დგება და მიდის. ბავშვი საჩუქარს სასწრაფოდ ხსნის და ხელში პატარა, ლამაზი სარკე შერჩება.

ბარდნის. პატარა გოგონა თოვლში მირბის. მირბის და ტირის. ბედნიერებისგან ტირის. რომელიღაც ქუჩის ბოლოს ძველ, ჩამონგრეულ ქოხთან ჩერდება, სახლის კარს ადებს. შედის ოთახში და შეშდება. ოთახის შუაში პატარა ნაძვის ხე დგას, რომელზეც სამი-ოთხი, ხელით გაკეთებული, სათამაშო ჰკიდია, გვერდით კი დედა დგას. ბავშვი დედას მივარდება. ეხუტება, ბავშვი დედას პატარა სარკეს ჩუქნის, დედას დაწვზე ცრემლი დაეკიდა... ასე ჩახუტებულები, - ეს ორი, ეული, დიდხანს დგანან... ახალი წელი მათთვისაც მოვიდა... ვინ რა იცის როგორი იქნება ეს ახალი წელი? იქნება და ბედნიერი იყოს!

გარეთ კი თოვს. ვიწრო, გადათეთრებულ ქუჩებში სხვადასხვა ფერის ნათურები ანათებენ და საახალწლო სიმღერები ისმის.

I კურსის სტუდენტი

\* \* \*

ნ წლის ნიკას ცხოვრებაში უკვე მერამდენედ თენდება ის ღამე, როდესაც ყველა ერთმანეთს ამ დღის დადგომას ულოცავს... გარედან სისტემატურად შემოდის აფეთქებების ხმა, ყველას უხარია. ხან ერთი აიყვანს ნიკას ხელში და ულოცავს, ხან მეორე, მაგრამ ყოველივე ამას ნიკა ვერ ხედავს. სწორედ ამის გამო ტკივა გული და ახლაც ძალით იღიმის. ნიკამ აიღო თავისი თბილი ქურთუკი, რომელიც როგორც ყოველთვის მისთვის განკუთვნილ თაროზე იდო და სახლის აივანზე გავიდა. იგი არავის შეუმჩნევია. დაჯდა სკამზე და ჩაილაპარაკა: „ნეტავ რა დღეა ასეთი, ნეტავ ერთი წუთით მაინც შემეძლოს ამ ყველაფრის დანახვა რა მოხდება“.

– გამარჯობა მეგობარო! გილოცავ ახალ წელს! - უცებ მარჯვენა მხრიდან შემოესმა კაცის ხმა.

– მადლობა, მეც გილოცავ! - უპასუხა ნიკამ.



– აჰა, შენ ეს სარკე ჩემგან საჩუქრად! - და ხელში შეაჩერა ტარიანი, მრგვალი სარკე.

– დიდი მადლობა, მაგრამ მე ვერ... - და უცებ სარკეს რომ გაუსწორა თვალები, თავისი სახე დაინახა. გარშემო ყველაფერი ისევ დაბინდული იყო, ჩაბნელებული, მაგრამ სარკეს ხედავდა. ბუნდოვნად ჩანდა სწორედ ის ულამაზესი ზმანებანი, რომლებიც ცაზე იშლებოდნენ სხვადასხვა ფრად და თან, ზმას გამოსცემდნენ. ნიკა ადგა და სახლში შევიდა. დაინახა ულამაზეს ფერებად მორთული კედლები, დაინახა სუფრის ირგვლივ მსხდომი და მისკენ ჭიქებით ხელგამოწვდილი ადამიანები, რომლებიც „ნიკას გაუმარჯოს“-ო ეუბნებოდნენ. ნიკა მივიდა მათთან, ჩამოვდა სკამზე; უცებ დედამისის ზმა შემოესმა, მიმოიხედა, მაგრამ დედა ვერ დაინახა. სუფრასთან მსხდომ ნათესავებსა

და მეგობრებსაც ვერ შეამჩნია სახეზე რომ დახილის ზმა ესმოდათ... - ნიკა, ნიკა... ისევ ესმოდა დახილი...

– ნიკა! -

– ჰოუ.. - გასცა პასუხი;

– შემოდი სახლში, გაიყინები - დაუძახა დედამ;

ნიკამ თავი დახარა, ხელში სარკე აღარ ეჭირა, თვალიდან ცრემლი ჩამოუგორდა და ხელზე დაეცა. ნიკამ ხელს დახედა... ცრემლი დაინახა და ცრემლში სწრაფად გამოჩნდა ყოველივე ის, რაც სარკეში დაინახა. გაუხარდა, წამოხტა, სახლში შევარდა და იყვირა: „გილოცავთ!!!“

**ილია ასიტაშვილი,**  
I კურსი, ტელერეჟისურა

# სახე, ბავშვი, ცხემლი

\* \* \*

– ახლა აღარავის ვჭირდები!

ვთქვი და კულისებისაკენ გამოვემართე. თვალთ დამიბნელდა, ფარდას გამოვედე, თითქოს რაღაც უკან მექაჩებოდა. ძალა მოვიკრიბე და საგრიმიოროსკენ წავბარბაცდი. კარი შევალე თუ არა მხრებში მოხრილი მოხუცი დავინახე, გაუღიმე, მანაც გამიღიმა. შორიდანაც ვხედავდი იმ ღრმა ნოკებს ამ ადამიანის განვლილ ცხოვრებაზე, რომ მიყვებოდნენ. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო ნაცნობი ხდებოდა ჩემთვის ეს ღიმილი, თვალები და წითელი ცხვირი. ის იყო, ხელი უნდა ჩამომერთმია, რომ თითებში სიცივე ვიგრძენი. ოფლმა დამასხა, შევშინდი, მუხლებში მოვიკეცე და სკამზე დავევარდი. კარგა ხანს ვიჯექი ასე გაუნძრევლად, მერე წინ გადავიხარე და კარგად დავაკვირდი ნათურებით განათებული ჩარჩოდან მომზირალ მოხუცს.

– ეს მე ვარ... მე...

როგორ აღარ ვეცადე თვალებით მაინც ამომეცნო ის ბავშვი, სარკეში ჩახედვისას

სწორედ, ასე, რომ მიცქერდა ხოლმე. გული ამიჩუყდა. ახლა წითელლოყება ყმაწვილი კი არა, დროსთან ბრძოლაში დამარცხებული, ცრემლით დაგვირგვინებული ჩემი თავი დავინახე. გულში ცივი სიცარიელე ვიგრძენი. ასე მემართება ხოლმე, როცა სიცილისა და ტირილის სურვილი ერთნაირად და ერთდროულად მტანჯავს. მერე თავი ხელში ავიყვანე, ფეხზე წამოვდექი და ღიმილნარევი ხმით ვთქვი:

– „ზვეზდა სავსემ ნე მალადა, მარშინი ვიდაიუტ გადა...“

კაშნე მხარზე მოვიგდე, ჯოხი დავიჭირე და სამუდამოდ გამოვემშვიდობე თეატრს.

**ირაკლი აბაშიძე,**  
ხელოვნების ისტორია და თეორია, I კურსი

\* \* \*

\* \* \*

ბავშვი, როგორც ყოველთვის, თავის სამყაროში იყო და თამაშობდა. უცებ კუთხეში, ძველ ყუთში, ლამაზ მაქმანებიანი, ძველებური სარკე იპოვა, რომელიც დედამ დაბადების დღეზე აჩუქა... რა ბედნიერი იყო მაშინ!

მერე კი... მერე...  
საშინელი ავარია...  
მშობლების დაღუპვა...  
სისხლი, შუშის ნამსხვრევები და...

უნებლიედ ატირდა. ცრემლები სცვიოდა და უკვე გაბზარულ, მაგრამ, მაინც მისთვის ძვირფას სარკეს ეწვეთებოდა...

**მარია ნიშნიანიძე,**  
კულტურული ტურიზმი, I კურსი.

ისევ ქარია, ისევ წვიმს, მის სულში ისევ მარტოობაა... ბავშვი დგას ქუჩის კუთხეში და ცრემლი სდის. ელოდება ვიღაცას, თუმცა, თვითონაც არ იცის ვის. ახსენდება სარკე, რომელშიც მან დაინახა სასტიკი და დაუნდობელი ადამიანი. სწორედ სარკე დაეხმარა საკუთარი თავის ამოცნობაში, საკუთარი ნაკლოვანებების დანახვაში. ტირის... მისტირის მეგობარს, იმ მეგობარს, რომელიც მას ყოველთვის გვერდით ედგა, თვითონ კი რა გააკეთა?! დაამცირა და გაანადგურა ის ერთადერთი ადამიანი, ვინც მასზე ფიქრობდა, ზრუნავდა, უვლიდა და რაც მთავარია – უყვარდა. ბავშვი ვერაფერს გრძნობს გარდა სულიერი ტკივილისა, მარტოობისა, ბოლოს გადაწყვეტს ბოდიშის მოხდას. სახლში ადის, მიდის ტელეფონთან და, აი, ისევ სარკე... ისევ გახსენება... იგი ვერ უძლებს ამ ტკივილს, ამ მარტოობას, რომელიც სულიერად ანადგურებს... ბოლოს გადაწყვეტს თავიდან მოიცილოს ეს ყოველივე...



სარკის ნამსხვრევები ძირს მიმოფანტულა, თუმცა მის სულში ისევ მარტობაა. მას კვლავ სტანჯავს დანაშაულის გრძნობა...

**ციალა წიქარიძე,**  
კულტურული ტურიზმი, I კურსი  
სამშაბათი 10:00

\* \* \*

„გილოცვთ, თქვენ ბავშვი გეყოლებათ.“ - გული ლამის მკერდიდან ამომივარდა. ლოყაზე სისველე ვიგრძენი, - ეს იყო ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი ცრემლი. ჩემი ნანატრი პატარა უკვე ჩემშია. მის ჯერ განუვითარებელ, გულის ფეთქვას ვგრძნობ. ღმერთო, როგორი ბედნიერი ვარ...

ამ უსასრულო სამყაროში, ამ ცივ კედლებში მარტო აღარ ვარ, ახლა ჩვენ ორნი ვართ - მე და შენ, და არავინ არ გვჭირდება სხვა...

ამ შუა ღამით ძაღლს რა აყეფებს?! ჩემი პატარა არ გამიღვიძოს, ახლავე ბალიშს მოგაფარებ, მშვიდად იძინე.

...

ღღეები რა სწრაფად გადის, მოდი სარკეში ჩავიხედოთ, ჩემო ოქროსფერთმიანო. უკვე რამხელა გაიზარდე, ეს კაბაც აღარ გვეტევა. უკვე შენს მწვანე თვალებსაც კი ვგრძნობ. ღმერთო, რა ლამაზი ხარ. ჩემი პატარა ბიჭუნა, ჩემი ბედნიერება... რა მოუთმენლად ველოდები შენს დაბადებას...

უკვე სამი თვეა ჩემთან ხარ, ჩემო ანგელოზო, როგორ იზრდები, სარკე ვეღარ გვიტევეს. ჩემი მოქსოვილი წინდები ხომ მოგწონს? რამდენი რამე გიყიდე, შენი ოთახი უკვე გაივსო. ჩემი მოუსვენარი ბიჭუნა აქ ირბენს ხოლმე, აქ იქნება ჩვენი პატარა სამყარო...

ასე გვიან რატომ გაიღვიძე პატარავ, რამე ხომ არ გტკივა? თავს ცუდად ვგრძნობ, ჩემს ბიჭს რაღაც აწუხებს... დამეხმარეთ! ღმერთო, რა მემართება, სად მიგყავს ჩემი შვილი? არ წაიყვანო, შენ ხომ გყავს ანგელოზები, მარტო ნუ დამტოვებ, მიშველეთ!

რა ბნელი ღამე იყო... ისევ მარტო დავრჩი...

ჩემო ანგელოზო, არ მოგეწონა ეს სამყარო? უფალთან არჩიე ყოფნა? დედა არ შეგებრალა? შენს გარდა ხომ არავინ მყავს? მეც მალე მოვალ, უკვე მესმის შენი სიცილი... აქ ისე ცივა, უშენოდ ისე დავცარიელდი, ცრემლებიც ისე გაივსო ტკივილით... რაღა დამრჩა აქ...

რა საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობ... ძაღლა მივდივარ... რა ახლოს მესმის შენი კისკისი... ჩემო პატარავ, ჩემო მწვანეთვალეზავ აქ ხარ, ჩემთან... ისევ ერთად ვართ...

**სალომე რეზენიძე,**

ხელოვნების ისტორია და თეორია, I კურსი

### სარკისმბრი ცვლილება

მთვრალი ვიყავი, როგორც ყოველთვის... ბანცალით მივუყვებოდი გზას და ზოგადსაკაცობრიო თემებზე ვფიქრობდი. წვიმდა. მოულოდნელად, შევამჩნიე ვიღაც, რომელსაც ხელში თოთო ბავშვი ეკავა. ბინძური და შავი. არ ვიცდი, ალკოჰოლის გამო მეჩვენა თუ მართლა ძალიან ლამაზი იყო ბოშა ქალი ბინძური ბავშვიანად (ბავშვები არასოდეს მიყვარდა). ბავშვი ტირიდა. ბავშვის პაწია თვალებიდან წამოსული ცრემლი ჯერ წვიმის წვეთებს ერეოდა, მერე კი - ტალახს. ქალი შუა ქუჩაში იდგა, წვიმის ქვეშ და ბოლო ხმაზე უყვიროდა ბავშვს, რაღაცას თავის ენაზე.

- არ გაცივდეს... - გავიფიქრე უცებ. მიუახლოვდი. შემოფოთებულმა ახალგაზრდა, ნაადრევად დაქალბულმა გოგონამ შემომხედა და რაღაც შემომბურდუნა თავისსავე ენაზე. კერაფერი გავიგე. მიმიკებით ვანიშნე ბავშვი ღამაკავებინე-მეთქი. ცხოვრებაში პირველად მეკავა ბავშვი (ანდა აქამდე როგორ დავიკავებდი, ბავშვის ხმის გაგონებაც კი მაღიზიანებდა), თანაც ნასვამი ვიყავი. იქნებ კაიფშიც? არ მახსოვს... ხელებში თითქოს სითბო ჩამეღვარა. ბავშვი გაირინდა. გაინაბა. „მოვეწონე“ გავიფიქრე. თავისი შავი, ღიდი თვალები დააჭყიტა. თვალები უფრო შავი აღმოაჩნდა, ვიდრე გამურული ცხვირ-პირი და ბინძური ხელები. ჩავიძირე ბავშვის თვალებში... „ღმერთო, მე კი მეგონა ბავშვებს ვერ ვიტანდი! რა ლამაზია...“ ბოშა





ქალი უცნაურად დამაშტერდა. მერე ისევ რაღაც მითხრა, ან იქნებ თავისთვის თქვა (არ ვიცი), და წავიდა... ნელა მიაბიჯებდა, კოჭამდე კაბა ქარში ფრიალებდა, ტალახში ფორთხავდა... თმაც სულ დაუსველდა... თმიდან ჩამოსული წვეთებიც წვიმას ერეოდა. თავიდან გავშტერდი, მერე ავედევნე.

- ბავშვი? - ვანიშნე ხომ არ დაგავიწყდამეთქი და გავუწოდე. ჯერ გაჩუმდა, მერე კი დამტვრეული ქართულით მითხრა:

-შენი იყოს, გჩუქნი.- არ ვიცოდი რა მეთქვა, წასვლა დავაპირე, მაგრამ რად მინდოდა ბავშვი, რომლის ხელში ჭერაც კი არ ვიცოდი... შემზიზღდა ბომა ქალიც და ბავშვიც... ჩავფიქრდი, ჩავიძირე ზიზღში, რომელსაც თან ერთოდა ღიმილი, ბავშვის მიერ ჩემთვის მოგვრილი. ქალის ქვითინმა გამომაფხიზლა. შემაკრთო. მის ხორბლისფერ ლოყაზე ცრემლი შევნიშნე, რომელიც წვიმის წვეთებს საგულდაგულოდ დაემალათ, მაგრამ მისგან წამოსული სიმხურვალე ისე იბნეოდა

ქარში მაშინვე ამოვიცანი რომ ცრემლი იყო და არა წვიმის წვეთი... ზიზღი გაქრა. დარჩა სითბო რომელიც იმ ქალის ცრემლმა ჩაღვარა ჩემს გაყინულ გულში. ხმა აღარ ამომიღია. ვერ შევძელი, ჩამიწყდა. ბავშვმა დააცემინა. შემეშინდა არ „გამიცვივლემეთქი“, გულში ჩავიკარი, ქურთუკში გავბლანდე და შინ წავედი...

დილაა. სარკესთან ვზივარ და მაკიაჟს ვიკეთებ.

- თმებს დაგვარცხნი დე! - მეუბნება ფართოვალება ბავშვი და უფრო აფართოებს თვალებს, თითქოს ნაპერწკლებს ყრის.

- კარგი. - ვუთხარი და იოლად დავმორჩილდი.

სარკის წინ ვიჯექი, ბავშვი კი მთელი მონდომებით, გულმოდგინედ მვარცხნიდა არც ისე გრძელ თმას. ვუყურებდი სარკეში ანარეკლს. ვიღაც სხვა ქალი

იყო. ნამდვილი ქალი, დედა, და არა მე. ვერ ვცნობდი... სულ რამდენიმე წლის წინ, ქარსა და წვიმაში, ვიღაც ქალმა ტალახში ამოგანგლული ბავშვი მაჩუქა. სწორედ ამ ბავშვის ცრემლმა გააღლო ყინულის ლოლოები გულში ჩაკირული. მისმა ცრემლმა მაგნიტისებურად მიმიზიდა ბავშვთან. შემაყვარა. თანაც წამიერად. სწორედ ამ ბავშვის დამსახურება იყო რომ ახლა სახლში ვიჯექი, სარკის წინ და თავს ვუვლიდი, ქუჩაში მთვრალი ხეტიალის ნაცვლად. სწორედ ამ ბავშვმა შემოატრიალა ჩემი ცხოვრება სარკისებურად. ამიტომ ვერ ვცნობდი საკუთარ ანარეკლს სარკეში!

არ ვნანობ, რომ იმ ქარიან ღამეს, წვიმაში და ტალახში, ვიღაც ბომას გამოვართვი პატარა საჩუქარი, რომელიც თურმე დიდი ყოფილა...

**ანო სანმბლიკე**  
(მადამ ფისუნია)